

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7-8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
5. ბალანსის შემდგომი მოვლენები	20

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,474,563	1,061,091	607,521
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	7,038	195,806
მარაგები	81,101	41,983	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	59,777	742	1,409
სხვა არამატერიალური აქტივები	22,694	5,404	0
ძირითადი საშუალებები	8,184	22,694	2,459
სულ აქტივები	1,646,319	1,138,952	807,195

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	343,605	199,235	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	637	2,666	0
საგადასახადო ვალდებულებები	1,659	0	2,277
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	37,828	92,928	86,031
სხვა ვალდებულებები	18,908	13,583	6,824
სულ ვალდებულებები	402,637	308,412	95,132

საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,243,682	830,540	712,063
სულ საკუთარი კაპიტალი	1,243,682	830,540	712,063
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,646,319	1,138,952	807,195

*(ერთეული ლარი)

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,474,563	1,061,091	607,521
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	7,038	195,806
მარაგები	81,101	41,983	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	59,777	742	1,409
სხვა არამატერიალური აქტივები	22,694	5,404	0
ძირითადი საშუალებები	8,184	22,694	2,459
სულ აქტივები	1,646,319	1,138,952	807,195
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	343,605	199,235	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	637	2,666	0
საგადასახადო ვალდებულებები	1,659	0	2,277
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	37,828	92,928	86,031
სხვა ვალდებულებები	18,908	13,583	6,824
სულ ვალდებულებები	402,637	308,412	95,132
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,243,682	830,540	712,063
სულ საკუთარი კაპიტალი	1,243,682	830,540	712,063
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,646,319	1,138,952	807,195
*ეროვნული დარი			
Tax Consulting Group LLC:	ზ. ებრაელიძე		

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	1,389,692	703,939
გაყიდვების თვითღირებულება	-175,848	-84,779
საერთო მოგება	1,213,844	619,160
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12,729	22,263
დასაქმებულთა ანაზღაურება	-341,374	-190,741
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-1,758	-849
საპროცენტო ხარჯი	-5,324	-6,760
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-738,770	-311,153
სულ საოპერაციო ხარჯები	-1,074,497	-487,240
საოპერაციო მოგება	139,347	131,920
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	139,347	131,920
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	830,540	712,063
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	273,795	-13,443
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,243,682	830,540

*(ერთეული ლარი)

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი საქმიანობის შედეგები		
	31/12/2022	31/12/2021
საქმიანობის შედეგები	1,389,692	703,939
ნეტო ამონაგები	-175,848	-84,779
გაყიდვების თვითღირებულება	1,213,844	619,160
საერთო მოგება	12,729	22,263
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-341,374	-190,741
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1,758	-849
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-5,324	-6,760
საპროცენტო ხარჯი	-738,770	-311,153
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1,074,497	-487,240
სულ საოპერაციო ხარჯები	139,347	131,920
საოპერაციო მოგება		

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	139,347	131,920
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	830,540	712,063
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	273,795	-13,443
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,243,682	830,540

*ეროვლი ლარი

დირექტორი: ალექსანდრე ახალკაციშვილი

Tax Consulting Group LLC:

ა. ახალკაციშვილი
გ. ჯანაშიაძე

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
პერიოდი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	-	-	698,619	698,619
წლის წმინდა მოგება			405,715	405,715
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	-	1,104,334	1,104,334
წლის წმინდა მოგება /ზარალი			139,347	139,347
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	-	1,243,682	1,243,682

*(ერთეული ლარი)

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
პერიოდი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	-	-	698,619	698,619
წლის წმინდა მოგება			405,715	405,715
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	-	1,104,334	1,104,334
წლის წმინდა მოგება /ზარალი			139,347	139,347
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	-	1,243,682	1,243,682
*(ერთეული ლარი)				
Tax Consulting Group LLC:	ზ. ებრალიძე			

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი (ს/კ 427739361) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება, კერძოდ დიზაინერი ალექსანდრე ახალკაციშვილის ესკიზების მიხედვით, ხარისხიანი მასალების შესყიდვა იმპორტით, კერვა, ქსოვა და დასრულებული ტანსაცმლის საზღვარგარეთ რეალიზაცია. კომპანია დაფუძნდა 2019 წლის 17 ივლისს. დღ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2019 წლის 17 ივლისიდან. კომპანიას ჰყავს ერთი დამფუძნებელი. ალექსანდრე ახალკაციშვილი (საქართველოს მოქალაქე პ/ნ 13001017454) 100%. ალექსანდრე ახალკაციშვილი აგრეთვე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

იურიდიული მისამართი - საქართველო, გურჯაანის რაიონი, სოფელი ველისციხე

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა 11

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების **(მსს ფასს)** შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული მესამე ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა და მიიღო დაშვება, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022, 2021 წლის 31 დეკემბერსა და 2022 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2022 წლის 1 იანვრისთვის	3.0892	3.4991
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
საოფისე აღჭურვილობა	3-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს ვებ-გვერდს და ლიცენზიას.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ

არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.8 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.9 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში. კომპანიას არ გააჩნია სალარო. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით.

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შენიშვნა 1 (ძირითადი საშუალებები)

ძირითადი საშუალებები 2022, 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე აღჭურვილობა	ავთო და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	4,625	1,966	6,591
შემოსვლა	1,275	3,263	4,538
გასვლა			-
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	5,900	5,229	- 11,129

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	1,188
ცვეთა	-	1,758
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	2,946

წმინდა საბალანსო ღირებულება

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	-	5,403
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	-	8,184

შენიშვნა 2 (არამატერიალური აქტივები)

დასაშვები ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2021	22,694	22,694
შემოსვლა	0	0
გასვლა		0
დასაშვები ღირებულება 31.12.2022	22,694	22,694
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	0	0
ცვეთა	0	0
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	0	0
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	22,694	22,694
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	22,694	22,694

შენიშვნა 3 (მარაგები)

მარაგები	2022	2021
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	81,101	41,983
არამატერიალური ფასეულობა (ლიცენზიები)	0	0
სულ	81,101	41,983

შენიშვნა 4 (გაცემული სესხები)

გაცემული სესხები	2022	2021
გაცემული სესხი	37,828	92,928
გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე	-	-
მისაღები პროცენტი	5,323	6,760
მისაღები პროცენტები დაკავშირებული მხარიდან	-	-
სულ	43,151	99,688

შენიშვნა 5 (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	59,777	7,038
გადახდილი ავანსები	-	742
სულ	59,777	7,780

შენიშვნა 6 (ფული და ფულის ეკვივალენტები)

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2022	2021
ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები	1,474,563	1,061,091
სულ	1,474,563	1,061,091

შენიშვნა 7 (მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან)

მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	2022	2021
მიღებული ავანსები	128,458	3,588
სულ	128,458	3,588

შენიშვნა 8 (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	18,908	13,583
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	-
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	637	2,666
სულ	19,545	16,249

შენიშვნა 9 (ამონაგები)

ამონაგები	2022	2021
რეალიზაცია	1,389,692	703,939
შემოსავალი მომსახურებიდან	-	-
სულ	1,389,692	703,939

შენიშვნა 10 (საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
შრომის ანაზღაურება	341,374	190,741
საიჯარო ქირა	-	-
დაზღვევის ხარჯები	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,758	849
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	744,094	317,913
სულ	1,087,226	509,503

4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წლის მდგომარეობით ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	343,605	199,235
სულ	343,605	199,235

	2022	2021
მიღებული სესხი დაკავშირებულ მხარესგან	37,828	92,928
სულ	37,828	92,928

ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე
გაცემული ანაზღაურება

	2022	2021
შრომის ანაზღაურება მთლიანად	33,880	28,061
სულ	33,880	28,061

5. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

მოგახსენებთ, რომ რადგან კომპანიის ერთ-ერთი მიზნობრივი კატეგორიაა სატუმრო ბიზნესი და 2020-2021 წლების განმავლობაში ტურიზმის სფერო სერიოზულად შეიზღუდა მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული ვირუსის COVID-19 (კორონავირუსი) გამო, 2022 წელს ამ კატეგორიის ბიზნესი ჯერ არ იყო მზად ინვესტიციებისთვის, შესაბამისად ამან გავლენა მოახდინა ჩვენი კომპანიის საქმიანობაზეც.

2022 წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა უცხოური ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევები, შესაბამისად ესეც შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად.

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მაქსიმალურად შეეცდება ამ ხელშემშლელი ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება დაძლიოს და საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2023 წლის 22 სექტემბერს